თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3226683

ნომერი: AR1495453

თარიღი : 12.04.2017

გაცემის თარიღი : 26.04.2017

გაცნობის თარიღი : 27.04.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხეილ ბურძგლა , N 65 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხეილ ბურძგლა , N 65 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხეილ ბურძგლა , N 65 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხეილ ბურძგლა , N 65 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ურიცკის ქ.№26

ორგანიზაცია:
- შპს "ეპიკ საბურთალო" კოდი: 401994099

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ თქვენს მიერ კომპლექსურად იგეგმება შენობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები, კერძოდ ეწყობა პერგოლები ,ხორციელდება არსებული სავენტილაციო გამწოვი კომუნიკაციების (შახტების) ცვლილება, არსებული სახურავის გარე პერიმეტრში ეწყობა მოაჯირები იმისათვის , რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა, მისი ქალაქმშენებლობით მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება (იმის გარკვევა ექსპლუატირებული ტერასებით ხომ არ ხორციელდება სამეზობლო მიჯნების დარღვევა .....). საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:
1 საჭიროა მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დააფიქსირეთ სახურავის ნიშნულები რა დონეზეც (მიეთითოს ნიშნულები) იგეგმება მოაჯირების, პერგოლისა და საკომუნიკაციო გაყვანილობის გამწოვი შახტების რეკონსტრუქცია და წარმოადგინეთ გენ-გეგმა საპროექტო სახურავის გეგმარებით (საკადასტრო საზღვრებით და ტერასის კიდეებიდან მიბმის მანძილების დატანით), ხოლო გეგმებზე აისახოს პერგოლის დგარები და მიეწეროს საპროექტო ფართების საკადასტრო კოდები წილობრივი მონაცემებით და დაფიქსირდეს მესაკუთრეთა ვინაობა).

2 ფაილის მიმაგრება ველში აიტვირთოს ყველა ამ ფართების ამონაწერები საჯარო რეესტრიდან რომელზეც ასახული იქნება ტერასის მესაკუთრეთა ვინაობა და ასევე დამატებით წარმოდგენილი იქნას რეესტრში დაცული ანაზომი ნახაზები, სადაც დაფიქსირებული იქნება სარეკონსტრუქციო სახურავების (ტერასების) ფართებიც.
გაითვალისწინეთ გამწოვი მილების (საჰაერო გამწოვი შახტების) რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით წარმოსადგენი გექნებათ ა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით.
„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი

-ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ დაგეგმილი რეკონსტრუქციით არ დაირღვევა ქალაქმშენებლობითი რეგულაციები და განსახორციელებელი სამუშაოები შესაბამისობაში იქნება მომქმედ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან , ახალი განცხადებით უნდა მომართოთ სამსახურს და აირჩიოთ ამ რეკონსტრუქციით დაგეგმილი ყველა საჭირო ნომენკლატურა კერძოდ: -"I კლასი- პერგოლა "- რეკონსტრუქცია , I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები- "კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა"--რეკონსტრუქცია(სავენტილაციო შახტების ცვლილებისათვის) და I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი - რეკონსტრუქცია(მოაჯირის მოსაწყობად). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გასცეს წერილობითი დასტური და დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.